



ქართული
გზაობის

გამოცემის 42-0 წილი. ფასი 20 კპ.

გაზეტი



საქართველო № 199

№ 7 თბილისი
აპრილი 1965

მამაჩემს ვენახი ჰქონდა მდინარის გაღმა გაშენებული. როგორც ჯერაც დავსახული ვიყავი, ჩვენ ვამწყვდით: დამლაშობით უერძენს იზარაფდა ვილაცხ. მამამ მიბრძანა: ჩვენი ძალი წამეუენა და ვენახში დამეხა. პირველსავე დამეს უეფა შე- მოგვესმა.



„აბა, აილე თოფი და ის ქურდები დაიჭირე როგორმე.“

მამის ბრძანება შევასრულე.

მოვარიანი დამე იყო. ვენახში გავიღურსე და ავრე ვუთვალთვალედი.

გავისვლე: ძალი პირით მიწვდებოდა მტკვანს, გადასანსლაჟდა. მცირე ხნის შემდეგ კვლავ ასტესდა უეფას. მერმე კვლავ დაითრეჟდა ნაუოფს და სელასლა აუეფდებოდა.

ამ იგავის მორალი ასეთია: ზოგ-ზოგი მავნებელი თავად ჩადის სიაჟეს და პატრონის თვა- ლის ასახვეჟად სიფხისილეს იჩენს ანახდად.

ზღარბი და ლოკოკინა

„მობილო“, — შესამსა ლოკოკინამ ზღარბს.

„მუდამ გაბულისებული და აფსორილი დადისარ, ერთხელაც დიმილს ვერა ვსედაჟ მაგ შენ დაღრენილ ლამებზე, ამიტომაც სმლებად გქცეჟია მაგ აბურძგნილი თმები.“

„შენ რა გიძაჟს, მძაო, თავი ისეთი წურილი გაქჟეს და გასიპული, ეოჟველ ნახვრეტში იო- ლად შემერები, მე კი ბრძოლით მისდება ამ ქვეუნად გზის გაჟაფჟა, ამიტომაც სმლებად შექ ცნენ თმები.“



დრედნოუტი და გუდურა

ერთი ოპკადანდილი დრედნოუტი რეიდზე ისვენებდა. იქვე მასლობლად ერთი საწუალო- ბელი გუდურა ვაგლასად ჟეჟუშალაობდა. წამოჟუკიდა ტალღა, დრედნოუტზე მიასლიდა გუდუ- რას.

ნაპირზე მდგარ მოსეირნეებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, თითქოს გუდურა გაათორე- ბული ებრძოდა დრედნოუტს.

„მობილო, თავი სომ არ შეგძაგებია მაგ ჟეჟანს რომ ემიძვილაჟები?“ — შეესიტჟეა გზად- მიძაჟალი კატარა გუდურას.

„ფიქრი არაა“, მიუგო გუდურამ, „მე კარგად ვიცი დრედნოუტი ჩემთვის სელს არ გაი- სერის. ამასობაში ეს უმაქნისი მოსეირენი დრედნოუტთან მებრძოლ რაინდს შემარქმეჟენ.“

მორალი:

ეს იგავი დავწერე ჩემი ლიტერატურული მტრების საგულისხმოად. მათ კარგად იციან, მე მათთან მებრძოლებს ვერ ვიჟადრებ და ამიტომაც მებღლამუნებთან ეს ქარსჟეტიებო...



„ეურძნის ქურდი“

ოპის დროს ვილისში ჩავჟეჟი და ატენს წაჟედი, რათა ჩემი ბაღლებისათვის მცირეოდენი უურძენი შეეიდნა.

გლესებმა შემეცენეს, არაჟინ არ იეისრა ეურძნის ფასის გამორთმეჟა, სოლო მე ვერ ვი- კადრე მუქთად წადება ეურძნისა.

სოფლის ბოლოს იწეებოდა კოლმეურნეობების ვენახები. მოვარიანი დამე იყო. ერთი ასაღგახრდა წინ გაღამიდგა და მომამსა:

„რისთვის გარჟილსართ, კონსტანტინე ბატონო?“

მე მას აუესენი ამ ჟურად ჩემი ამაოდ ჩამოსვლის მიზეზი.

„ღმერთო მოკალი, ეურძნის მეტი რა გჟაქჟეს! წამობრძანდიო ჩემთან“. — სოქჟა და ვი- ლისში ჩამიჟდა.

საკმაოდ ვრცელ ზვარში შემეიჟვანა მანქანიანად. მერმე მიგდჟეთო: მე, თავათ ეს უცნობი და ჩემი შოფერი და კალათები გავავსეთ მწიფე ეურძნით.

გორს ჩაჟედიო თუ არა, ეს კაცი ჩამოსტა და დამე ნებისა მისურჟა.

მე დიდი მადლობა მოვასსენე თავის ვენახიდან ამდენი ეურძენი რომ მითავაზა.

„ჩემი ვენახიდან? მე ვინ მომცა, ბატონო ვენახი?“

„აბა ვისი იყო ის ზვარი?“ — შეჟეჟითსე მე.

„ემშაჟისა და დოხანასი, სულ ერთი არაა ვინიც იყო?“ — ესა სოქჟა, — გადაისარსარა და ბნელ შუკაში გაუწინარდა.

ეს იგავი ეჟელამ დაისომოს: არაა მარაჟებულა უცნობი კაცისაგან მიიღო მღჟენი, თორემ უოჟოდ გაიღანმღები.

ლომი და ტურა

ერთი ლომი და ერთი ტურა დაჟმობილდენ. ტურა მსტოგრად ჰჟავდა ნადირთა მეფეს. თუ სადმე მონადირენი წურილ მსეცებს დასოცაჟდენ, ტურა მუისჟე გეჟს აიღებდა და თავის ბა- ტონს იმ ტუეში წაიჟვანდა.

ერთ დღეს ტურამ ლომი შეიჟვანა ერთ ტეერში, სადაც მონადირენი მუსრს აჟლებდენ მჟეჟებს.

როცა მადჟარი მადლებს ეჟჟა შემოესმათ, ლომმა შენიძნა: შემკრთალი ტურა ვაგლასად აცასცასდა.

„რა მოგდის მე ცანცარა, რამ შეგამინა ავრე?“

„ეჟ, მე თავათ გულმაგრად გასლაჟარო, დიღო ბატონო, ოღონდ ეგაა: მე შენს მაგეგრად შეჟერთი.“

მორალი:

ავრე სდება მუღამ: მშიშარები თავიანთ სიმსდალეს უძღაიერსო გადაბრალეჟენ სოლმე.





ახალციხეში სტუმარ კაცს
სიცივე დამხვდა უჩვევი,
ყინვისგან აცახცახებულს
სულ გამილურჯდა ტუჩები.

ლამით სასტუმროს მივადექ
შეცივებული, საწყალი,
ეთხოვე დირექტორს ოთახი
ყელის წევით და კანკალით.


ერთ ცივ ოთახში შემადგეს,
წყალი დამისხეს სატკივარს,
ოთახს ან რისთვის ეძახდნენ
იმ საყინულე მაცივარს.

დილით ამიტყდა გაყინულს
ხველა და ცხვირის ცხიკინი,
ყელიდან სიტყვის მაგიერ
ამომდიოდა ხიხინი.

დირექტორს ხშირად უნახავს,
ალბათ, ასეთი სერიი,
მხრებზე ხელს მიტყაპუნებდა:
— ხეირი, ძმაო, ხეირი!

რაც მე ხეირი იქ ვნახე.
იმანა ნახოს ასეთი,
იქნებ სასტუმროს გათბობას
ალარ დასჭირდეს გაზეთი.

3. კახელიზვილი



— გიორგი, ამოდი მართი, შახტის უფრო-
სთან, ბრეისტიდან რევიზიაა მოსული!
— რა შავი ძვა უნდათ!

ახალი გავოცანები

- გუაღე, გუაღე, ვერ გავუაღე — კულტმასობრივი მუშაობა.
- ველაზე, ველაზე, ვერ ნაველაზე — დაუმსახურებელი შეურაცხყოფა.
- წაღე, წაღე, ვერ გავწაღე — საწყობი.
- ვერე, ვვერე, ვერ შევერე — თანხენტი.
- გუაქრე, გუაქრე, ვერ დაგუაქრე — დასაირტუჯი ღვინო.
- ვასხი, ვასხი, ვერ დავასხი — თავსლაფი.
- ვანთე, ვანთე, ვერ ავანთე — მცხეთის ასხითი.
- ვწურე, ვწურე, ვერ გავწურე — პროტექციისანი აბიტურიენტი.
- ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე — ავტორის ჰირველი წიგნი.
- ვწილე, ვწილე, ვერ გავწილე — ავტორიტეტი.
- ვოაღე, ვოაღე, ვერ გავოაღე — ზოგიერთი ას-პირანტი.
- ვწიე, ვწიე, ვერ ავწიე — დისციპლინის დანე.
- ვწერე, ვწერე, ვერ დავწერე — თეორიტიკული სიტყვა.
- ვფეროსე, ვფეროსე, ვერ დავფეროსე — თერმომეტრი (ან უნიკო თანამშრომლები).

შეადგინა ჩარლიზ

დოქონი / ბიზ უ-უ-უ

ქუჩებში ორომტროიალია. მიმორბიან ქალები, კაცები, ბავშვები, მოხუცე-ბი, პალტოგაღლილები და თაყუქუმოგლეჯილები. უჭირავთ: ვედროები, კოცები, სურები, დოჭები, ხელადები და ბალონები. მიეშურებიან ზევით, ქვევით, პირდაპირი ქუჩებით, მისახვევ-მოსახვევებით, მარჯვნივ, მარცხნივ.

— ხანძარი? — კითხულობთ. არავე არ გცემთ ხმას, თქვენთვის არავის სცალია.
— „პაქარია“? — ახლაც დუმილი.
იხედებით ზევით, არსად ალის ავარდნა, არსად ბოლის ვრაგნილი.
აგერ სახანძრო რაზმის მანქანა მიქრის, ოღონდ მენახარებები არა ჩანან. მიქრის მანქანა და ხელჭურჭლებიანი მოქალაქეები აუღვენებთან, ემუდარე-ბიან რალაცას, ხანძრის კერისაკენ თუ მიუთითებენ.
მანქანა მიქრის ისევ და... ალბათ, იწვის რალაც და სადლაც.
თუმცა არა, არაფერი არ იწვის, მოქალაქეები წყალს ეძებენ, იქნებ სადმე მოყონავდეს და ყელი ჩავისველოთ, სახანძრო რაზმის წყლით დატვირთული მანქანა კონსერვის, ქარაქსახედლ და სხვა ქარხნებისაკენ მიემარტება, წყლით ამარავებს...

და უქმად არიან ხახადაბჩენილი, პირგამშრალი, კისერმოღრეცილი ონკანები და ელოდებიან, ვინ იცის, იქნებ ცხინვალს ოდესმე ელირსოსო საკმარისი წყლის გამოყვანა, იქნება ოდესმე ბოლომდე მიიყვანონო დიდი ხნის წინათ დაწყებული სამუშაოები, იქნება ალარ გაისმოდესო ამ წყლებით მდიდარ მხარეში გულსაკლავი ლაღადისი: ღონე მენ უ-უ-უ-წყალი მწყურიაო. ეს იმედი დიდი ხანი აქვთ ცხინვალელებს და წყალსადენის მუშაკები მცხოვრებლებს იმით ანუგეშებენ: ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალთოო. მაგრამ იმედი არც დაილევია, იმედით ვერ დაიბან, იმედით ვერ გაირეცხავ... იმედიანი შიმშილიც კარგიაო, ანდაზა ამბობს, მაგრამ მასში იმედიან წყურვილზე არაფერია ნათქვამი და თანაც, ცხინვალელებს რომ კითხოთ, ეს იმედი, როგორც გამოცდილებით იციან, არცთუ ისე საიმედოა.
ჩვენ მაინც ვგაქვს იმედი, რომ ქალაქის თაყვაცები დაფაცურდებიან, დააფაცურებენ სათანადო მუშაკებს, და როგორმე ბოლომდე მიიყვანენ წყლის გამოყვანის საქმეს, რათა საბოლოოდ შეწყდეს გულისგამწყვლავებელი საწყალობელი ლაღადისი:
ღონე მენ უ-უ-უ.



ნათლიაგა და ნათლუკაგა

ალბათ ბევრს სმენია ასეთი ანეკდოტი. ერთმა ჭკუაზე მწყურალად მყოფმა საავადმყოფოს პალატაში წიგნი შეარბენინა.

— ადექით, ბიჭებო, პიესა უნდა წაგიკითხოთ — თქვა მან და კითხვას შეუდგა. მთელი დღე კითხულობდა.

— კარგი პიესაა, — მოიწონა დასასრულს ერთმა, — ოღონდ ბევრი მოქმედი პირია.

სალამოს პალატაში ექიმი შემოვიდა და მწყურალად იკითხა: — ვინ აიღო ჩემი მაგიდიდან ტელეფონის წიგნი?

...ეს ამბავი კი ხდება შედარებით ნორმალურ ადგილზე — რედაქციაში. ნაშრომი დაახლოებით ტელეფონის წიგნის სიმსხო და, საერთოდაც, ასეთი ხასიათის „ლიტერატურას“ განეკუთვნება. ვკითხულობ და ვერ ვამჩნევ, რომ მისმენენ. ხანდახან სიცილი მესმის. დღის ბოლოს ოთახში შემოდის რედაქციის მდივანი და კითხულობს.

— ვინ აიღო ჩემი მაგიდიდან „ქალაქის ცნობარი“?

მე ჩემთვის ვზივარ და მისამართს ვეძებ, მაგიდებთან კი აქეთ-იქით თავშეუკავებლად იცინიან.

...აუზის ქუჩა (ნათლიები უნდა აბანაო იმ აუზში, — ამბობს ერთი).

— მექისის გამზირი თუა მანდ? — შენიშნავს მეორე.

— არღონ... (პარღონ!).

— ბამბის რიგი.

— დაურეკე, ბიჭო, ბიცოლაშენს, ბამბის რიგი დაიჭიროს!

— თივის, ბზის მოედანი... განზრახის ქუჩა — ვკითხულობ (განზრახ ვერ მოიფიქრებ, კაცი!).

— დამპალოს დასახლება (როდის მოვესწრებით სახელწოდებებიდან „დამპალოს“ გასახლებას?).

— ელმავლის შესახვევი („პარავოზმა“ რა დააშავა?).

— ექიმის, ფერმალის შესახვევი (მერე, პროფესორს რა თვალთ შევხედოთ?).

— ვაზნის შესახვევი („ცენტრალკამ“ რა დააშავა?).

— ზარბაზნის შესახვევი (ტყვიამფრქვევმა ნაკლები პატივი გვცა სამოქალაქო ომში?).

— მთის აღმართი (აღმართიანი მთისთვის ზედგამოჭრილი სახელია).

— მაშხალის ქუჩა (ეს რომლის, ეშმაკის მაშხალის?).

— ტრაქტორის ქუჩა (კარგი იქნებოდა, „ჩტზ“-ს და „დტ“-ს ჩიხებიც გვქონოდა!).

— წყალქვეშა შესახვევი, წყალქვეშა ჩიხი (აკვარიუმის პროსპექტი რომ გვქონდეს, გასაგები იქნებოდა).

— ზიარის ქუჩა (ნეტავ ერთმა კაცმა მოიგონა ეს სახელები, თუ ვინმესთან ზიარად?).

— ვარვარინოს ქუჩა (ჩაო-ჩაო, ბამბინო!).

— პურის მოედანი (აი, მარილიც რომ დაეყოლებინათ ზედ, პურ-მარილის მოედანი იქნებოდა!).

— მაჭრის შესახვევი, ღვინის ჩიხი და ზიგზაგის ქუჩა...

— მოთხრობას კითხულობ ლოთებზე? — მაჩერებს მეზობელი.

— ციხის შესახვევი... — განვაგრძობ მე.

— ლოგიკური ფინალია! — ასკვნის მეზობელი.

— ლამის ქუჩა; ლამის პირველი შესახვევი, ლამის მესამე შესახვევი, ლამის მეორე ჩიხი.

— ლამის გავვიყდე, კაცი! — ვერ ვაკავებ მეზობელს.

ეჰ, როდემდე უნდა ვიციოთ ამ ამბავზე!

* * *

ათასჯერ თქმულა, დაწერილა, წაკითხულა, გადაწყვეტილა, საშველი მაინც არ დადგომია ამ საქმეს. მართალია, არც ისე იოლია ბაბუას სახელი შეუცვალოს შვილიშვილმა, მაგრამ არც ისე ვარგა, ადამის ჟამის სახელწოდებები დავტოვოთ. ესეც არ იყოს, ახალ უბნებს, ახალ ქუჩებს მაინც რატომ ვერ ვხედავთ ეპოქის საკადრისად.


„ამას წინათ საბურთალოს მასივში მცხოვრები მახლობლისათვის ღია ბარათი მინდოდა გამეგზავნა. — გვწერს პოეტი მიხეილ ქვლივიძე. — იძულებული შევიქენი აღრენატისათვის ორი სიტყვა მიმეწერა, რადგან დანარჩენი ფართობი მისამართს დასჭირდა: საბურთალოს მესამე მასივი, მეოთხე კვარტალი, მეშვიდე კორპუსი, მეხუთე სადარბაზო, მესამე სართული, ორმოცდამეხუთე ბინა... და ასე შემდეგ.“

ნათლიებს ვთხოვთ ნუ გაგვიწყრებიან. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა.

„ნაინგის“ კონკურსზე შემოსული მა-სალეზიდან.
ლევინი: „ბაკა“ (თბილისი).



ჭიკვა რომ გასკდე, ვერ მოიფიქრებ



ჯ.ლ

— ეს საათი ძალიან მოგწონს, ვარლამ, უნდა ვიყიდოთ.
— გაგიჟდი, ძალო! ციფრებლავი მიჯობელთან იქნება და
ამ კვებით გირაბის კონფიალს ვუჭურო?

„ნიანგის“ კონკურსზე შემოსული მასალებიდან.



ნახ. ჯ. ნიშარაძისა



გაგონა უსიკვამლო

— მენ პართლუ მთვალე სო არ გარინიზაჟი.
ჩამი აბანო არ მუჯარას და თავი ბანაბ გო-
ვიმთვარალე.

„პატივცემულო რედაქტორო“
მომაქვს თქვენს ყურადღებასთან, რომ კომუნარების ბაღში ეგრეთწოდებულად მუშაობს ხალტურჩიკი ფოტოგრაფი აშენა. ყველას საკუთარი გამომეტყველების მსგავს სურათს უღებს, მე კი კარკატურა გადამიღო. თან მომაძახა: „სარკეში ჩაიხედე, მე რას მიჩნუბებიო“.

გთხოვთ, თქვენი აპარატის მუშაებმა გამოიკვლიონ მისი აპარატი“.

(გაზეთში შემოსული განცხადება)

„თვითგანვითარების დახმარებისათვის ვკითხვო მცენერულ-პოპულარულ წიგნებს. თანამედროვე ახალგაზრდად მინდა გამოვიყურო.“

რადგან სხვაგან არსად სწერია, გთხოვთ დამატებით მიმასუხოთ:

- 1) თრივე კარი რომ გავაღო, შემოეტევა თუ არა მზის გლობუსი?
- 2) კიდევ რაღაც უნდა მეკითხა და აღარ მახსოვს“.

(გაზეთში შემოსული შეკითხვა)

„ჩემი ქმარი მივლინებაში იყო. შემთხვევით ბნელ პაღვალში ჩავიკეტე, სამი დღე ვიყავი მზეთუნახავი, სიცხე არა მაქვს, მეკუთვნის თუ არა ბიულეტენი?“

(იურიდიულ კონსულტაციაში შემოსული შეკითხვა)

„ცალი ყური არა მაქვს. ჩვენი სტუმრის ბავშვმა მომაჭამა ბავშვობაში.“

ამრიგად ვაკეთებ ფოკუსს; ვიკეთებ რეზინის ყურს, მერე ვიგლეჯამ, ხალხი გიყუდება. გთხოვთ მიმიღოთ თქვენდამი რწმუნებულ ცირკის შენობაში ცალკე ნომრად“.

(ცირკის დირექტორის სახელზე შესული განცხადება)

„ვარ იპოდრომის მეჩინიბე. დამესიზმრა, რომ კრებაზე ცხენებმა მაგრად გამამართახეს, ოღონდ თავმჯდომარე არ ჰყოლიათ. გთხოვთ განმიმარტოთ ასეთ შემთხვევაში ითვლება თუ არა კრების გადაწყვეტილება კანონიერად, მაგალითად, სინამდვილეში?“

(იურიდიულ კონსულტაციაში შესული შეკითხვა)

„ვაკეთებ იმიტაციას, პირით ვბაძავ შემდეგ ინსტრუმენტებს: ზურნას, გიტარას, აკორდეონს, გთხოვთ გამაფორმოთ საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგად. სულ ადვილია, ყველას ვასწავლი“.

(განცხადება საბავშვო ბაღის გამგის სახელზე)

შეკრება ო. ალფანიძე

რედაქტორი ნ. დუმბაძე სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, გ. ნიშნაძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-78

ხელმოწ. დასაბ. 30/III-1965 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1195. უფ. 63988 ტირაჟი 40000.

